ბიულეტენი

სამეცნიერო ჟურნალის ,,ქართული პოლიტიკა,, სპეციალური გამოცემა

ჯემალ გახოკიძე

2015 #22

გზა, რომელმაც არ მიგვიყვანა სამართლებრივ სახელმწიფომდე

სერია: ზერიგების პოლიტიკა

ძვირფასო მეგობრებო!

კარგი მმართველობა, ფართო საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, სწორი, გონივრული გადაწყვეტილებების მიღება და მისი განხორციელების უზრუნველყოფაა. საჯარო ადმინისტრირების სფეროში სახელმწიფო, რეგიონული, უწყებრივი თუ ადგილობრივი მმართველობის დონეზე გადაწყვეტილებებს საჯარო მოხელეები იღებენ და იმაზე, თუ რამდენად აქტუალურ თემებს „წამოწევენ“ ისინი განსახილველად, ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის მდგრადი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარება. ჟურნალის სამეცნიერო რედაქცია მიესალმება და მხარს უჭერს თითოეული მოხელის მოსაზრებების, შეფასებების, დასკვნების სათანადოდ წარმოჩენას.

რედაქცია დადგენილი წესით გამოაქვეყნებს მათი ავტორობით მომზადებულ საჯარო გამოსვლების ტექსტებს - პარლამენტის სხდომებზე, სამთავრობო ან ადგილობრივ ღონისძიებებზე, სამეცნიერო კონფერენციებზე, სემინარებზე; ასევე, რა თქმა უნდა, მათ მიერ გამოსაცემად მომზადებულ ცალკეულ სტატიებსა თუ წიგნებს.

ჩვენი მთავარი ამოცანაა, ნებისმიერი რანგის საჯარო მოხელის, პოლიტიკოსის არცერთი ღირებული, ინოვაციური, მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრება ან მოვლენათა სიღრმისეული ანალიზი არ დარჩეს განხილვის, გასაჯაროების გარეშე, რადგან ამან, შეიძლება, სერიოზულად დააზარალოს როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივი ინტერესები. „ქართული პოლიტიკის“ რედაქცია ღიაა თანამშრომლობისთვის და მოგმართავთ სახელმწიფო მოხელეებს, პოლიტიკოსებს - ნუ მოერიდებით საკუთარი პოზიციის საჯაროდ დაფიქსირებას და გადმოაგზავნეთ სათანადოდ რედაქტირებული ნაშრომი შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: info@georgianpolitics.com.

გამოცემების ციფრული ვერსია საჯარო სამსახურის ბიუროს დახმარებით უსასყიდლოდ პერსონალურად მიეწოდებათ სახელმწიფო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებში დასაქმებულებს, საქმიანი წრეების წარმომადგენლებს, მეცნიერებს, წარჩინებულ სტუდენტებს. აგრეთვე ის განთავსდება ჟიული შარტავას სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლის პოლიტიკური ლიტერატურის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე - www.politlibrary.ge.

ამჯერად რედაქცია ცალკე ბროშურის სახით გამოსცემს სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სპიკერის, პროფესორ ჯემალ გახოკიძის ნაშრომს „გზა, რომელმაც არ მიგვიყვანა სამართლებრივ სახელმწიფომდე“.

ყველამ ერთად შევუწყოთ ხელი „კარგი მმართველობის“ განხორციელებას საქართველოში.

ჯემალ გახოკიძე

გზა, რომელმაც არ მიგვიყვანა სამართლებრივ სახელმწიფომდე

გამომცემელი: ქიული შარტავას სახელმწიფო
პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლა

არც თუ ისე ცოტანი თვლიან, რომ დღეს
კონფლიქტების დარეგულირებისთვის შესაფერისი
პოლიტიკური გარემო არ დამდგარა.
მე მათი მესმის, მაგრამ არ ვეთანხმები.
ამავე დროს დამეთანხმებიან ყველანი, რომ ძალიან
დაგვიანდა იმის გარკვევა, შეეძლო თუ არა იმ
დროის საქართველოს ხელისუფლებას, შიდა და
გარეთ არსებული ვითარების გათვალისწინებით,
კონფლიქტების თავიდან აცილება. სწორედ
ამის გარკვევას ემსახურება დღეს
თქვენთვის წარმოდგენილი კვლევა.

ურთიერთდაპირისპირებული გეოპოლიტიკური ორიენტაცია. ბიპოლარული მსოფლიოს დასასრულმა და პლანეტური სტრუქტურის ძირეულმა ცვლილებამ არაერთი სახელმწიფო, ერი და ეთნოსი დააყენა უაღრესად რთული ამოცანის წინაშე - მოეპოვებინათ ახალ გეოპოლიტიკურ ეპოქაში მაქსიმალური, ან თუნდაც მეტ-ნაკლებად გარანტირებული უსაფრთხოება.

ასეთი ამოცანის წინაშე აღმოჩნდნენ აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნები. განსაკუთრებულად აქტუალური შეიქნა იგი ეთნიკური უმცირესობებისათვის. იმდროინდელი ვითარება და, რაც მთავარია, ბელოვეჟის ხელშეკრულება სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის სტატუსს მხოლოდ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს ანიჭებდა. საკითხი ეთნიკური უმცირესობის შესახებ არც იდგა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო განხილვის საგანი. ყველას და, უწინარეს ყოვლისა, რუსეთს კარგად ესმოდა სხვაგვარი გადაწყვეტილების

შეუძლებლობა. ეთნიკური უმცირესობის სუვერენიზაცია უთუოდ გამოიწვევდა მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში უმართავ ქაოსს.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რუსეთს ქაოსის მართვის საკმაოდ დიდი გამოცდილება და უნარი აქვს, ალბათ მისთვის უფრო მომგებიანი უნდა ყოფილიყო, თუკი ბელოვეჟის ხელშეკრულება ეთნიკურ უმცირესობებსაც მისცემდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესაძლებლობას, მაგრამ რუსეთმა უარი თქვა ამგვარ "ოფიციალურ" შესაძლებლობაზე; უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ესოდენ ფართომასშტაბიანი ქაოსი თვით რუსეთის ტერიტორიულ და ეროვნულ დეზინტეგრაციას

გამოიწვევდა. მისთვის ქაოსის გამოწვევა და საკუთარი მიზნების მიხედვით ამ ქაოსის მართვა უფრო მომგებიანი არა საკუთარ ქვეყნის ტერიტორიაზე, არამედ პოსტსაბჭოურ ქვეყნებში იქნებოდა. მით უფრო, რომ ამგვარი ბერკეტები მან საბჭოთა კავშირიდან მემკვიდრეობით მიიღო.

ცხადია, ფორმალურად ეთნიკურ უმცირესობებს არჩევანი არ გააჩნიათ. მაგრამ, თუ პოსტსაბჭოურ სივრცეში არსებული კონფლიქტების განზოგადებას ვეცდებით, აღმოჩნდება, რომ ყველა კონფლიქტის წყარო სსრ კავშირის სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის ალოგიკური სისტემიდან მომდინარეობს. არაერთხელ თქმულა და ვიტყვი, ბოლშევიკების მიერ ჯერ კიდევ 1922 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელოვნურად "დაშვება" უკვე თავისთავად ითვალისწინებდა ფარული ნაღმის ფუნქციას.

ასეთი ნაღმები საბჭოთა კავშირის მრავალ რესპუბლიკაში ამოქმედდა (სომხეთში, აზერბაიჯანში, მოლდოვაში). ყველა ეთნოკონფლიქტი სწორედ რუსეთის მიერ ინიცირებული იყო. დღევანდელი გადასახედიდან კიდევ უფრო აშკარაა, რომ ამ უკანასკნელის უმთავრესი მიზანი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე გეოპოლიტიკური გავლენის შენარჩუნება იყო. ამ მიზანს ემსახურებოდა ეთნოკონფლიქტების საშუალებით იმ პოსტსაბჭოური ქვეყნების დასუსტება, რომლებიც გეოპოლიტიკური თვალსაზრისით სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იყო და საბჭოთა პერიოდში სოციალ-ეკონომიკურად უფრო დაწინაურებულ ქვეყნებს განეკუთვნებოდა. ამ განზომილებით რუსეთისათვის საქართველო უმთავრეს სამიზნედ იქცა. უკვე 1990-1991 წლებიდან დაწყებული

კონფლიქტები სხვადასხვა ინტენსივობითა და ფორმით დღემდე გრძელდება.

მაგრამ ერთია მოწინააღმეგის მიზანი და მეორეა ჩვენი უნარი - ავიცილოთ ეს საფრთხეები. ჩვენ უკვე 1989 წლიდან კარგად გვესმოდა რუსეთის განზრახვები, თუმცა ზოგიერთი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გამო ვერ შევძელით, ერთი მხრივ, გამოგვენახა რუსეთთან საერთო ენა და მეორე მხრივ, განდგომილი რეგიონები დაგვერწმუნებინა, რომ საქართველოს ფარგლებში მათ ექნებოდათ მაქსიმალური და გარანტირებული უსაფრთხოება. ამ მიმართულებით მუშაობა საჭირო იყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში, როცა ფაქტობრივი ლეგალიზაცია და მწვანე შუქი მიეცა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ პერიოდში აქცენტი გვქონდა გადატანილი საქართველოს დამოუკიდებლობაზე (რაც, თავისთავად, სწორი იყო) და ყურადღების მიღმა

დაგვრჩა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის განწყობა, ინტერესები და მოთხოვნები (რაც, თავისთავად, შეცდომა იყო).

უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ვერ გავთვალეთ და არ გავითვალისწინეთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა, საბჭოთა კავშირიდან თავის დაღწევა ავტომატურ რეჟიმში გამოიწვევდა საქართველოში შემავალი ავტონომიების ანალოგიურ სწრაფვას. მით უმეტეს, საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას, აფხაზეთისა და ოსეთის ხელისუფალთა შორის ე.წ. "კანონთა ომი" უკვე დაწყებული იყო; მოსკოვში მოქმედებდა იდეოლოგიური მანქანა, რომელიც მოხერხებულად მანიპულირებდა ისეთ ფაქიზ გრძნობებზე, როგორიცაა ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნება, ეთნიკური უმცირესობის შევიწროება და ა.შ. ყოველივე ამის შემდეგ იქმნებოდა დამოუკიდებლობის პოლიტიკური რიტორიკა.

"კანონთა ომი" თუ პოლიტიკურ-იურიდიული განხეთქილება. საქართველოს მაშინდელ პოლიტიკურ ლიდერებს მიაჩნდათ, რომ მთავარი და უპირველესი ამოცანა იყო ჯერ ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვება და შემდეგ ზრუნვა ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობისათვის. უფრო მეტიც, ზოგიერთმა აჩქარებულმა, დაუფიქრებელმა, არარაციონალურმა ლოზუნგმა და პოლიტიკურმა გადაწყვეტილებებმა, ნებსით თუ უნებლიეთ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სეპარატიზაციას შეუწყო ხელი. საჭიროდ მიმაჩნია, უფრო დეტალურად შევეხო საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას და აფხაზეთსა და ოსეთს შორის გამართულ ე.წ. "კანონთა ომს", რომელმაც ფაქტობრივად ოფიციალური მიმართულება

მისცა საქართველოს დეზინტეგრაციას.

1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ. ობიექტურობა მოითხოვს ითქვას: მანამდე, იმავე წლის ნოემბერ-დეკემ-ბერში ოსეთის სეპარატისტულმა ძალები დაეუფლნენ ადგილობრივ ხელისუფლებას, გამოაცხადეს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა, ჩაატარეს ე.წ. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნები, და ყველაფერი ეს კეთდებოდა საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნათა უგულებელყოფითა და საქართველოს კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ, რითაც ფაქტობრივად იმ ჩანაფიქრის განხორციელება დაიწყო, რომლის მიზანიც ავტონომიური ოლქის საქართველოს იურისდიქციიდან გასვლა იყო.

1990 წლის 14 დეკემბერს საქართველოს ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმმა გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველოს დეოკუპაციამდე სამხრეთ ოსეთის ა/ო გაუქმება არის არარეალური და ფიქტიური, პოლიტიკური თვალსაზრისით საქართველოსათვის უაღრესად წამგებიანი ნაბიჯი. თუმცა მეცნიერთა და პოლიტიკოსთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ამჟამინდელი გადასახედიდან ძნელია ერთმნიშვნელოვნად იმის თქმა, თუ რამდენად რეალური, მომგებიანი ან წამგებიანი იყო საქართველოს ხელისუფლების უზენაესი ორგანოს ეს ნაბიჯი. როგორც ჩანს, პირუთვნელ შეფასებას საკმაო დრო კიდევ დასჭირდება და ამას მომავალი თაობა გააკეთებს. (ჯ. ხეცურიანი. დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ, თბ., 2006 წ.).

იმდროინდელ ხელისუფლებას მიაჩნდა, რომ უდავოდ უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადადგა ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად.

ვფიქრობ, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების 1990 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება: სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ, მაინც დროს გასწრებული და ნაჩქარევი ნაბიჯი იყო. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იგი სახელმწიფოებრივი მოწყობის და მმართველობის ახალ წესს ადგენდა, რისთვისაც საქართველო ნამდვილად არ იყო მზად.

იმ დროისათვის, პოლიტიკური პრაგმატიზმის თვალსაზრისით, სწორი იქნებოდა კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში სამხრეთ ოსეთისათვის ავტონომიური ოლქის სტატუსის აღდგენა. საქართველოს ხელისუფლება ასეთი

გადაწყვეტილებით საერთაშორისო ასპარეზზე სერიოზულ პოლიტიკურ მხარდაჭერას მოიპოვებდა.

რაც შეეხება საქართველოსა და აფხაზეთს შორის "კანონთა ომს", მდგომარეობა აქ უფრო დრამატული აღმოჩნდა.

1990 წლის 25 აგვისტოს აფხაზეთის ასსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია "აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ". ამ დოკუმენტით აფხაზეთი ფაქტობრივად გამოცხადდა სუვერენულ საბჭოთა რესპუბლიკად, რომლის სახელმწიფო-სამართლებრივი ურთიერთობა საქართველოს რესპუბლიკასთან სახელშეკრულებო პრინციპებზე უნდა დაფუძნებულიყო. სავსებით სამართლიანად, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა ზემოაღნიშნული დეკლარაცია გააუქმა, როგორც იურიდიული ძალის

არმქონე და მეორე დღესვე, 1990 წლის 26 აგვისტოს ის ბათილად გამოცხადდა.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის 21 თებერვლის დეკლარაციით გაუქმდა 1978 წლის საქართველოს სსრ კონსტიტუცია და აღდგა 1921 წლისა (რაც მიმაჩნია, იმ დროისათვის პრაგმატული პოლიტიკისაგან შორს მდგომი, არარაციონალური პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო), რომლის 107-ე მუხლი აფხაზეთის სტატუსს განიხილავდა, როგორც ავტონომიურ მმართველობას სოხუმის ოლქის სახით. აღნიშნული გარემოება აფხაზეთის ასსრ უმაღლესმა საბჭომ კარგად გამოიყენა თავის სასარგებლოდ და 1992 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით გააუქმა საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედება აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე და აღადგინა სამოქმედოდ 1925 წლის აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია,

რითაც ფაქტობრივად აფხაზეთი სსრკ ერთ-ერთ მოკავშირე რესპუბლიკად გამოაცხადა.

ე.წ. "კანონთა ომის" რამდენიმე ეპიზოდი ნათლად მეტყველებს, თუ თანდათანობით როგორ იკრებდა ძალას ოსური და აფხაზური სეპარატიზმი და სულ უფრო და უფრო შორდებოდა საქართველო მის ძირძველ მიწაზე არსებულ ავტონომიებს. ასე რომ, "კანონთა ომი" პოლიტიკურ-იურიდიული განხეთქილებით დამთავრდა.

თუ ელემენტარულ ლოგიკას დავეყრდნობით, ცხადია, ამ ვითარებაში სოხუმი და ცხინვალი არჩევანის აუცილებლობის წინაშე დადგა: ვინ უფრო უზრუნველ-ყოფდა მათ უსაფრთხოებას - საქართველო თუ რუსეთი. არჩევანი შეჩერდა რუსეთზე, როგორც ძლიერ სახელმწიფოსა და გეოპოლიტიკურად ხელსაყრელ ქვეყანაზე.

ერთი მხრივ, სოხუმისა და ცხინვალის და მეორე მხრივ, რუსეთის პოლიტიკური ინტერესები იგივე გეოპოლიტიკური ლოგიკის მიხედვით თანმხვედრი აღმოჩნდა. ამასთან, განდგომილი რეგიონების ე.წ. ხელისუფლებისთვის უმთავრესი ინტერესი, რა თქმა უნდა, რუსეთის საშუალებით სამხედრო-პოლიტიკური უსაფრთხოების მოპოვება იყო.

კავკასიაში და, სახელდობრ, საქართველოში რუსეთის განსაკუთრებული სახელმწიფო ინტერესების არსებობის შესახებ უამრავი პოლიტიკური და სამართლებრივი მტკიცებულებათა წარმოდგენა შეიძლება, მაგრამ ამ შემთხვევაში დავკმაყოფილდებით იმპერატორ პეტრე პირველის მიერ 1712 წელს დატოვებული პოლიტიკური ანდერძითა და თითქმის 300 წლის შემდეგ რუსეთის პრეზიდენტის დ. მედვედევის "თანამედროვე ანდერძით".

პეტრე პირველი: "კონსტანტინოპოლისა და ინდო-

ეთისაკენ უნდა წავიწიოთ. ამ მიზნით შევქმნათ საომარი ვითარებები ხან თურქეთთან, ხან სპარსეთთან. ერთმორწმუნე კავკასიელი ძმებისათვის გავიხარჯოთ. შევეცადოთ, რომ ამა თუ იმ მხარემ მფარველობის თხოვნით მოგვმართოს. მერე კი მათ სრულ დამორჩილებას მივაღწიოთ. შევიყვანოთ ჯარი დროებით და მანამდე დავტოვოთ, სანამ საბოლოოდ იქ არ დავრჩებით".

ამასვე ღიად და ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს რუსეთის პრეზიდენტის განცხადება. დ. მედვედევი: "ჩვენ კავკასიიდან უკან არ დავიხევთ, ... - არის ღირებულებები, რომლისათვისაც უნდა იბრძოლო და გაიმარჯვო, რის გარეშეც ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ჩვენი ქვეყანა".[1]

ამდენად, რუსეთის უმთავრესი და მუდმივი ინტერესი კავკასიაში ოდითგანვე იყო და არის გეოპოლიტიკური,

1. დ. მედვედევი, 2008 წლი "ნოვოსტის" მასალები. 2008 წ. 6 ნოემბერი.

გეოეკონომიკური და სამხედრო გავლენის შენარჩუნება-განმტკიცება. უფრო მეტიც, რუსეთი პრეტენზიას აცხადებს გეოსტრატეგიული ცენტრის სტატუსზე რეგიონალურ დონეზე მაინც. ამიტომ კავკასიის სახელმწიფოების მხრიდან ამის არ გათვალისწინება და სრული იგნორირება დაუშვებლად მიმაჩნია. დიდი ქვეყნების ასეთი მისწრაფებები თავის მეზობელ პატარა სახელმწიფოებთან მიმართებაში იყო და დარჩება მუდმივ პრობლემად.

არ იქნება სწორი თუ ვიტყვით, რომ რომელიმე სეპარატისტული რეგიონის მკვიდრი მოსახლეობა გარკვეული და გაცნობიერებული იყო გეოპოლიტიკურ სისტემაში და ამის მიხედვით მოქმედებდა. რა თქმა უნდა, მათი არჩევანი წმინდად პრაგმატულმა ფაქტორებმა განაპირობა. გარშემო სახელმწიფოთაგან სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთისათვის მისაღები და მომგებიანი დიდ სახელმწიფოზე - რუსეთზე ორიენტაცია აღმოჩნდა. მოსახლეობისათვის რუსეთის ბაზარი უმძიმესი სოციალური კრიზისის დაძლევის

ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით, საქართველოს ხელისუფლების მიერ სოხუმისა და ცხინვალის ეკონომიკური ბლოკადის შემოღება, რა თქმა უნდა, პოლიტიკური შეცდომა იყო, რომელმაც განდგომილი რეგიონების მოსახლეობის საქართველოსაგან კიდევ უფრო გაუცხოება დააჩქარა.

კულტურულ-ცივილიზაციური განხეთქილება. საკითხის უკეთ გაგებისათვის, ვფიქრობთ, გამართლებული უნდა იყოს ზოგადთეორიულ კონტექსტზე შეჩერება.

მოცემული ქვეყნის რომელიმე ქვეყანაზე ან ქვეყნებზე ორიენტირება მხოლოდ გეოპოლიტიკური ფაქტორით არ განისაზღვრება. ზოგიერთ შემთხვევაში გეოგრაფიული სიახლოვე არ განაპირობებს სახელმწიფოთა ურთიერთობის ხასიათს, მით უფრო, ერთის მეორეზე ორიენტირებას. ასე რომ არ იყოს, ისრაელი და პალესტინა, თურქეთი და სომხეთი, სალვადორი, აშშ და სხვანი უთუოდ მეგობარი ქვეყნები უნდა იყვნენ. რეალური ვითარება კი არცთუ იშვიათად მეზობელი ქვეყნების დაპირისპირებაზე მეტყველებს. ამ დაპირისპირებას თითქმის ყოველთვის მკვეთრი კულტურულ-ცივილიზაციური განსხვავება განაპირობებს. ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობთ ინდივიდუალურ სულიერ-შემოქმედებით კულტურას. ლაპარაკია ცივილიზაციის ყველაზე მნიშვნელოვან კრიტერიუმზე - სოციო-კულტურულ ფენომენზე. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს უკანასკნელი ნიშნავს ინდივიდთა საერთო ცხოვრების (თანაცხოვრების) წესებს, რომელიც ემყარება სამოქალაქო საზოგადოების მიერ გაზიარებულ ფასეულობებს. ცივილიზაციის თანამედროვე გაგება სწორედ ამაზე მიანიშნებს. ამასთან, რაც უფრო ღირსებით

აღსავსე სამოქალაქო საზოგადოებასთან გვაქვს საქმე, მით უფრო მკვეთრადაა გამოხატული ეს ფასეულობები.

ასეთი ფასეულობებისაკენ ორიენტაცია სულაც არ განიზომება გეოგრაფიული მანძილით. თუ წარსულ ისტორიაში მეგაცივილიზაციური სივრცეები მკაცრად გამიჯნული და დაუძლეველი იყო, პოსტბიპოლარულ მსოფლიოში მათი ურთიერთშეღწევადობა სულ უფრო რეალური და ინტენსიური ხდება. სრულიად შესაძლებელია, რომ ცენტრალური აზიის, აფრიკისა და სხვა გეოგრაფიულ-გეოპოლიტიკურ სივრცეში ერთი ქვეყანა ევროატლანტიკური ცივილიზაციის ფასეულობებზე იყოს ორიენტირებული და მეორე - ისლამურზე ან სხვა განსხვავებულ ცივილიზაციაზე. ეს პროცესი მიმდინარეობს როგორც მაკრო (სახელმწიფოთა შორის), ისე მიკრო (ერთი სახელმწიფოს სხვადასხვა სოციალურ და ეთნიკურ ჯგუფებს შორის) დონეზე.

სამწუხაროდ, საქართველოს სახელმწიფომ ვერ შეძლო ამ პრობლემების მიღმა დარჩენა, პირიქით, ის მას მთელი "სიგრძე-სიგანით" შეეხო.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დასაწყისშივე იყო მიმართული ევროატლანტიკური ფასეულობებისკენ. მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა და სერიოზული დანაკარგებისა, იგი ბოლომდე ამ ფასეულობების ერთგული რჩება.

აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა კი განსხვავებული ცივილიზაციური სივრცე აირჩია. ამ რეალობას ვერ შეცვლის და ვერ მიჩქმალავს სეპარატისტული ხელისუფლების ვერანაირი მცდელობა - შეიძინოს დემოკრატიული

ქვეყნის იმიჯი. სოხუმმა და ცხინვალმა რუსულ ფასეულობებზე ორიენტაცია ამჯობინა. ამ შემთხვევაში მათ უპირატესობა გეოპილიტიკურ ფაქტორს მიანიჭეს. შესაძლოა, საქართველოს კულტურულ-ფასეულობითი მოდერნიზაციის არსი და მიზანი სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა ამ ქვეყნის სეპარატისტული ზონებისათვის, მაგრამ რეალობის ადეკვატური იქნება, თუ ვიტყვით, რომ სამხრეთ ოსებისათვის (ისევე, როგორც აფხაზებისათვის) ევროატლანტიკური ფასეულობები მეორადი მნიშვნელობის იყო, რადგან უსაფრთხოების გარანტია მაინც გეოპოლიტიკური ფაქტორით განისაზღვრებოდა.

რა თქმა უნდა, პოლიტიკური თვალსაზრისით სრულად თუ არა, მნიშვნელოვნად მაინც შესაძლებელი

იყო აღნიშნული ფაქტორის განეიტრალება და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საქართველოსთან ფასეულობითი იდენტიფიკაცია. ბოლოს და ბოლოს, მრავალი საუკუნის განმავლობაში, საქართველოსა და დღეს უკვე განდგომილ რეგიონებს შორის თანაცხოვრების გაცილებით ხანგრძლივი ისტორია უტყუარი ფაქტია. ჩვენი ტრადიციები, კულტურა და მორალურ-ზნეობრივი კოდი უფრო მეტი სიახლოვით გამოირჩეოდა, ვიდრე რუსეთთან მიმართებაში. უფრო მეტიც, ქართველებისა და აფხაზ-ოსების ურთიერთნათესაური კავშირები და შერეული ოჯახების მრავალათასიანი "არმია" ამის ნათელი დადასტურება იყო.[1]

ტერიტორიული ერთიანობა და თანაცხოვრების ხანგრძლივი ისტორია თავისთავად იძლეოდა ახალი ფასეულობებისაკენ ერთად მოძრაობის რეალურ შესაძლებლობას.

ისიც უნდა ითქვას, რომ 90-იანი წლების გადასახედიდან თანმიმდევრული პოლიტიკის განხორციელება უაღრესად რთული იყო. რადიკალური სოციალურ-პოლიტიკური და ფასეულობითი ცვლილებები არ იძლეოდა სტრატეგიული ამოცანების გადაჭრის რაციონალური, დაბალანსებული და ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი განხორციელების შესაძლებლობას. ფაქტია, რუსეთისაგან ბოძებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აფხაზეთსა და ოსეთს, თავისთავად, ავალდებულებს,

1. სხვათა შორის, 1999-2001 წწ. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში განხორციელებულმა ანალიტიკურმა კვლევებმა, რომელიც მიზნად ისახავდა კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრის პროექტის შემუშავებას, გვიჩვენა, რომ ამ მიმართულებით ყველაზე უფრო მეტ შანსს იძლეოდა სწორედ ნათესაური კავშირებისა და მჭიდრო ურთიერთობების პოზიტიური ფასეულობების აქტივიზება.

"მიიღოს" ის ფასეულობათი სისტემა, რომლითაც რუსეთი ხელმძღვანელობს.

ეროვნული ერთიანობის პრობლემა. შეიძლება ითქვას, რომ 1990 წლიდან დღემდე საქართველოს სახელ-მწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოდერნიზაცია, მეტად თუ ნაკლებად, თითქმის ყველა სფეროს (პოლიტიკური და ეკონომიკური, სამართალდაცვის, ჯანდაცვის, განათლებისა და კულტურის სისტემა და სხვ.) შეეხო.

ამ მხრივ ყველაზე მიჩუმათებული აღმოჩნდა ეროვ-ნული პოლიტიკა და არა იმიტომ, რომ საქართველოს ხელისუფლება და საზოგადოება, თუნდაც ინტუიტურ დონეზე, ვერ გრძნობდა ამ მიმართულებით რეფორმების საჭიროებას, უბრალოდ, 20-იანი წლების დასაწყისშივე (ანუ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების-

თანავე) საქართველოს ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკა ძალზე შორს იყო სრულყოფილებისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ხელისუფლება დასავლეთ ევროპისაკენ ორიენტირების კურსს "ახმოვანებდა", ვერ შეძლო (და, ალბათ, იმ ეტაპზე ვერც შეძლებდა) გაეგო ჩვენი ქვეყნის უმთავრესი ამოცანის მნიშვნელობა - დემოკრატიული ყაიდის ეროვნული პოლიტიკის შემუშავება. შამწუხაროდ, ზ. გამსახურდიას ეროვნულმა პროგრამამაც ვერ "დაამუხრუჭა" და ვერ შეაჩერა საქართველოს ტერიტორიული დეზინტეგრაცია და ეროვნულ-ეთნიკური კონფრონტაცია.

სწორედ ამ ტალღაზე გაუქმდა მაშინ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პოლიტიკური სტატუსი და ეწოდა "სამაჩაბლო". დაიწყო შეიარაღებული კონფლიქტი, ეს მაშინ, როცა ამის საფუძველი არ ყოფილა (განსხვავებით აფხაზეთის შემთხვევისაგან, სადაც ეთნიკური შუღლი გაცილებით უფრო დიდი ხნის განმავლობაში ყალიბდებოდა და უფრო ღრმა ისტორიული ფესვები აქვს).

ეროვნული პოლიტიკა არც ზ. გამსახურდიას შემდგომ პერიოდში შეცვლილა არსებითად. მართალია, მნიშვნელოვნად შემცირდა ეთნოკონფლიქტების სიმწვავე და ბოლოს იგი "გაიყინა" კიდეც, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველომ ეროვნული პოლიტიკის ჩამოყალიბება შეძლო. პრობლემის მნიშვნელობაზე ისიც მიანიშნებს, რომ საქართველოსთვის ვარდების რევოლუციის შემდეგაც კვლავ დაუძლეველი დარჩა ესოდენ მნიშვნელოვანი პრობლემა - ერთ ერად და საქართველოს გაერთიანებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება.

არადა, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომლის ტერიტორიაზე უკვე მრავალი საუკუნის განმავლობაში მკვიდრობენ დანარჩენი ახლომდებარე ქვეყნების ეროვნული წარმომადგენლები. ჩვენ არაერთხელ და ხმამაღლა ვამაყობდით და ვამაყობთ სხვა ერებისა და ეთნიკური ჯგუფების მიმართ ქართველთა ტოლერანტობითა და შემწყნარებლობით, მაგრამ შემწყნარებლობა თავისთავად ვერ უზრუნველყოფს ერთიან ერად ჩამოყალიბებას.

ის ფაქტი, რომ, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა, საქართველოს ყველა მოქალაქე ოფიციალურად თანასწორუფლებიანია, ერთიან ერად ჩამოყალიბების მხოლოდ სამართლებრივი პირობაა და არა რეალობა.

რა თქმა უნდა, ამ პრობლემის გადაჭრის საკანონმდებლო საფუძველი ეროვნული პოლიტიკის აუცილებელი და შემადგენელი ნაწილია, მაგრამ არა გადამწყვეტი. ეს დაახლოებით იმას ნიშნავს, რომ გამოვცეთ კანონი, რომლითაც საქართველოს მოქალაქეებს დავავალდებულებთ ამა თუ იმ ხელისუფლების თუ პოლიტიკური ფიგურის სიყვარულს, ან აქ მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ წარმომადგენლებს - ერთ ერად ჩამოყალიბებას.

ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღწევა, თუ გაგვიჩნდება პრობლემის გადაჭრის შესატყვისი პოლიტიკა და ეთნიკური უმცირესობებისადმი ადეკვატური დამოკიდებულება. პირველი მათგანი ანუ ის, რომ შემუშავდეს ეროვნული პოლიტიკა, მეცნიერ-ინტელექტუალთა ძალისხმევას მოითხოვს; მეორე მათგანი კი (ეთნიკურად განსხვავებული ჯგუფების ეროვნული ინტეგრაცია) დამოკიდებული იქნება "წმინდა" ტექნოლოგიურ უნარზე. საკითხისადმი ამგვარი მიდგომის მართებულობას უახლესი წარსულიც

ადასტურებს, როცა სახელმწიფოს მეთაური და მასთან დაახლოებული ჩინოვნიკები იღებდნენ ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს (მაგალითად, განდგომილ ეთნიკურ ჯგუფებს "დავუწესოთ" ბლოკადა, ან მოვეფეროთ სეპარატისტების გულის მოსაგებად და სხვ. მსგავსი). ეს, უკეთეს შემთხვევაში, ამცირებდა დაძაბულობას, ხოლო უარეს შემთხვევაში უკუპროპორციულ შედეგს იძლეოდა. ესოდენ რთული პრობლემის გადაჭრა ცალკეულ ჩინოვნიკთა კერძო შეხედულებით შეუძლებელია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არასწორია, როცა შესატყვისი კონცეფტუალური საწყისების გარეშე ვცდილობთ "ზემოდან" პრობლემის გადაჭრას და თანაც ისეთ "ფაქიზ" საკითხში, როგორიცაა მრავალეთნიკური საზოგადოების ერთ ერად ჩამოყალიბება, რაც არა ეთნიკური ნაციონალიზმის, არამედ სახელმწიფო ნაციონალიზმის ჩამოყალიბების საფუძველი ხდება.

უთუოდ გადაჭარბებული იქნება იმის თქმა, რომ დღესდღეობით გვაქვს ეროვნული პოლიტიკის მრავალფეროვანი კონცეფციები. თუმცა აღნიშნული პრობლემისადმი თანდათანობით მატულობს მეცნიერ-მკვლევართა დაინტერესება და ეს მისასალმებელია მიუხედავად იმისა, რომ ორივე განდგომილი რეგიონი - სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ - უფრო მეტად და, ალბათ, ხანგრძლივად ჩამოგვცილდა.

დღესდღეობით თეორიულ დონეზე მეტ-ნაკლებად გამოკვეთილია ეროვნული პოლიტიკის საკითხში მეცნიერ-ინტელექტუალთა ორი ძირითადი პოზიციური მიმართულება - ლიბერალური და კონსერვატიული. პირველის მიხედვით, მთავარი ამოცანაა ერის

ევროპული მოდელისაკენ მოძრაობა და მისი შესატყვისი პოლიტიკის შემუშავება; დაძლევას მოითხოვს ერის ტრადიციული გაგება, რომელიც პირდაპირ განაპირობებს სახელმწიფოსადმი ეთნიკური ჯგუფების გაუცხოებას. ვიდრე საკითხისადმი დამოკიდებულება არ შეიცვლება, საქართველო ვერ შეძლებს ეთნოკონფლიქტებისგან თავის დაღწევას. სავსებით დამაჯერებელი და არგუ-მენტირებულია დღევანდელი რეალობის უმთავრესი მიზეზი, რომელიც "ქართველის" სტატუსის საკითხის არასწორ გაგებაშია. კერძოდ, "ქართველის" სტატუსი ეთნიკური წარმომავლობით განიზომება. სწორედ ასეთი

მიდგომა ხომ არ იწვევს ეთნიკურ უმცირესობაში სტუმრის და უნდობლობის გრძნობას?

რა თქმა უნდა, აღნიშნული მიზეზი მართლაც რეალური და ეთნიკური ნაციონალიზმისაკენ წამბიძგებელია, მაგრამ ეს არც იმას ნიშნავს, რომ ქართული ნაციონალიზმი არის ჩვენი ვითარების მთავარი მიზეზი. ყოფით დონეზე ეთნიკური ნაციონალიზმი არა ერთ ევროპულ სახელმწიფოშიც შეიმჩნევა, მაგრამ ეს არ განივრცობა ეროვნული პოლიტიკის ფარგლებში. უფრო მეტიც, მსოფლიოს თანამედროვე სახელმწიფოებში არცთუ ისე იშვიათად თავს იჩენს ეთნიკური ნაციონალიზმი.

სავსებით სწორად აღნიშნავს ფატი შეყლაშვილი, რომ "XX ს-ის 90-იანი წლებიდან მსოფლიოში განვითარებული რთული პროცესები გვაფიქრებინებს, რომ თანამედროვეობის მთავარი წინააღმდეგობა არც იდეო-

ლოგიურ, არც გეოპოლიტიკურ და არც ეკონომიკურ, არამედ ეთნოკონფლიქტურ ხასიათს ატარებს და სახელმწიფოსა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის დაპირისპირებაში გამოიხატა. ანუ ეს არის წინააღმდეგობა სახელმწიფო ნაციონალიზმსა და უმცირეობების ნაციონალიზმს შორის".[1]

ზემოთ ვახსენე და, ალბათ, გამართლებული იქნება იმის დამატებაც, რომ ქართული ტოლერანტიზმი არასოდეს ყოფილა ზედაპირული და დეკლარაციული სახის. მრავალი საუკუნის განმავლობაში სხვადასხვა ეთ-ნიკური ჯგუფები მკვიდრობდნენ საქართველოში და ქართული საზოგადოების თითქმის ბუნებრივ ნაწილს წარმოადგენდნენ (საკმარისია ქართველ ებრაელთა, სომეხთა, აზერბაიჯანელთა, რუსთა და სხვა მრავლის მთქმელი მაგალითები). "საქართველო ოდითგან გამოირ-ჩევა ეთნიკური და რელიგიური შემწყნარებლობით, ქვეყა-ნაში მცხოვრები სხვა ეროვნებისადმი სახელმწიფოებრივი და ტოლერანტული მიდგომით. ამ ეთნოისტორიულ ტრადიციას ქართული სახელმწიფო არც დღეს ღალატობს".[2]

"იცავ რა აფხაზის, სომეხის, ოსის ღირსებას, ესე იგი, იცავ შენს ღირსებას, სხვანაირად ჩემთვის არ არსებობს მაღალი მცნება ქართველისა. მე მასთან ერთად ვცხოვრობდი და ვცხოვრობ".[3]

ეროვნულ საკითხებთან (მით უფრო პოლიტიკასთან) მიმართებაში კონსერვატორები განსაკუთრებულ სიფრთ-

1. იხ. ფ. შეყლაშვილი, "კოსოვო – გადაჭრილი პრობლემა თუ ახალი კრიზისის დასაწყისი", ჟურნალი "საისტორიო ვერტიკალები", თბ., 2008, #16.
2. ა. სონღულაშვილი, "ვინ არის ეროვნული უმცირესობა?" "ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები", თბ., 2008. გვ. 27.
3. М. Мамардашвили, "Грузия вблизи и на расстоянии", Тбилиси, 1995, с. 32.

ხილეს იჩენენ; მიაჩნიათ, რომ სწრაფი და რადიკალური ცვლილებები გამოიწვევს ქართული თვითმყოფადობისა და კულტურულ-სოციალური ფასეულობების დეფორმირებასა და დაკარგვას. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ეთნიკურად ქართული საზოგადოების ფარგლებში, მართლაც, შეიმჩნევა ეთნიკური ნაციონალიზმის არცთუ მცირე მხარდამჭერები.[1]

გასაგებია, რომ ამ პრობლემის რადიკალური და სწრაფი გადაჭრა საქართველოსთვის ძალზე სარისკო და, როგორც ჩვენი საზოგადოებისა და პოლიტიკური ელიტის ნაწილი ამბობს, უაღრესად ფაქიზიცაა. მაგრამ რეალობა უარყოფს საკითხისადმი მხოლოდ ასეთი მიდგომის მართებულობას. სიფრთხილე პრობლემის მიჩქმალვას ან მის სპონტანურად გადაჭრას არ გულისხმობს. იგი ცვლილებათა თანმიმდევრულობას, სიბრძნეს, ზომიერებას,

1. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ერის თანამედროვე გაგებამდე მისასვლელად ევროპას სამ საუკუნეზე მეტი დრო დასჭირდა. – ჯ. გ.

სიფრთხილეს და მაინც ყველაფერში მიზანდასახულობას და ეროვნულობას საჭიროებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთიან ერად ჩამოყალიბების პოლიტიკა უნდა ხორციელდებოდეს, ერთი მხრივ, კონსერვატიული მემკვიდრეობისა და, მეორე მხრივ, ლიბერალური რეფორმების აუცილებლობის გათვალისწინებით. ვერ ვახერხებთ რა ამას, შედეგად ვიღებთ გაორებულ ცნობიერებას, პრაქტიკასა და არაეფექტიან პოლიტიკას, რაც არაერთხელ უკვე კონფლიქტის მიზეზი გახდა.

ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ, ორივე მიმართულება (ლიბერალური და კონსერვატიული) ზუსტად ასახავს ჩვენს დღევანდელ რეალობას. ეს რეალობა მიანიშნებს არა მარტო დასმულ საკითხთან მიმართებაში გარდამავალ პერიოდზე, არამედ ეროვნულ პოლიტიკაში გარკვეული ცვლილებების აუცილებლობაზეც.

ამიტომ აუცილებელია ჩვენი საშინაო პოლიტიკის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარება, "როგორიცაა დემოკრატიულ საწყისებზე თანამედროვე ეროვნული პოლიტიკის კონცეფტუალური ხედვის შემუშავება და მისი შეუქცევადი რეალიზება".[1]

ამასთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესოდ მიგვაჩნია მოსაზრება იმის შესახებ, რომ არაქართველმა მოსახლეობამ, მათ შორის აფხაზებმა და ოსებმა, „უნდა იცოდნენ, როგორია მათი პერსპექტივა, როგორი ცხოვრება ექნებათ, როგორ სახელმწიფოში იცხოვრებენ, რა ერქმევათ მათ შვილებს, რა ენაზე ილაპარაკებენ საზოგადოებასა თუ

1. იხილეთ წიგნში: "საზოგადოება და პოლიტიკა" #6. პოლიტიკური ფორუმი: ათი შეკითხვა საქართველოს პოლიტიკურ განვითარებაზე, თბ., 2007, გვ. 81.

ოჯახში, რომელი სარწმუნოება იქნება მათი შთამომავლობის რელიგია და თუ იქნება, საერთოდ, რწმენის თავისუფლება, თუ ექნებათ სიტყვის თავისუფლება.

რაიმე მიზეზი ხომ არ შეუშლის ხელს მათი უფლებების განხორციელებას, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საერთაშორისო დეკლარაციით აღიარებული პრინციპების გატარებას ცხოვრებაში.

თუ ექნებათ სრულფასოვნების განცდა საკუთარ ქვეყანაში, ქალაქში, საზოგადოებაში. თუ იქნება დაცული მათი უსაფრთხოება, მათ შორის ფსიქოლოგიური და ა.შ.“.[1]

1. იხ. გ. მამალაძე "თანამედროვე ერონული იდეოლოგიის აუცილებლობა", გაზეთი "ჯორჯიან თაიმსი", #011 (530)

დასკვნის მაგივრად:

ფაქტია, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საქართველოს სახელმწიფოში და აფხაზებისა და ოსების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის ხარისხი, სასურველზე გაცილებით დაბალი აღმოჩნდა.

საბოლოოდ გამოვიდა, რომ ერთი შეხედვით თითქოს სრულიად გასაგები და წინასწარ განსაზღვრული ამოცანის თანმიმდევრულად განხორციელება, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა, რის გამოც შედეგად მივიღეთ კონფლიქტი და საქართველოსგან განდგომილი აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი.

ავტორის მოკლე ბიოგრაფია

ჯემალ გახოკიძე

დაბადების თარიღი: 1950 წლის 11 სექტემბერი

დაბადების ადგილი: თბილისი, საქართველო

განათლება

2004 წელი - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ. სადოქტორო თემა - „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პრობლემები“

1987 წელი - იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ქ. მოსკოვი. დისერტაციის თემა - „გამოძიების და მოკვლევის ორგანიზაცია“

1967 - 1972 წწ. – იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (წარჩინებით)

პროფესიული საქმიანობა

2009 წლიდან - დღემდე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი

2010 წლიდან - დღემდე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის თავმჯდომარე

2004 - 2005 წწ. - საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე

1999 - 2004 წწ. - ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე

1997 - 1998 წწ. - სახელმწიფო უშიშროების მინისტრი

1973 - 1997 წწ. - შინაგან საქმეთა სამინისტრო, გამომძიებლის, დეპარტამენტის თავმჯდომარის და მინისტრის მოადგილის თანამდებობები

შეთავსებით: 2004 - 2009 წწ. - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, ლექციები სისხლის სამართალში, სისხლის სამართლის პროცესში და კრიმინოლოგიაში

1989 - 2004 წწ. - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი

გამოცემები და პუბლიკაციები

მიღებული აქვს მონაწილეობა სამიტებში და 30-მდე საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციაში. არის 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 5 სახელმძღვანელოსა და 2 მონოგრაფიის ავტორი

დამატებითი ინფორმაცია

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის და ღირსების ორდენებით, ასევე სხვა სამთავრობო ჯილდოებით მინიჭებული აქვს გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდება არის საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალების: „თემიდას", „ბიზნეს-ინჟინერინგისა" და

უცხო ენები

გერმანული (კარგად)

რუსული (სრულყოფილად)

კომპიუტერული ცოდნა

Microsoft Word;

Internet Explorer;

Microsoft PowerPoint.

სარედაქციო ჯგუფი

ზურაბ ჯიბლაძე	პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
მარინე ბუაჩიძე	პასუხისმგებელი რედაქტორი
ნათია ვადაჭკორია	მასმედიასთან ურთიერთობები
დალი ჯვარშეიშვილი	ტექნიკური რედაქტორი
გია არაბული	მხატვრული რედაქტორი
გიორგი ჯიბლაძე	კონსულტანტი
ზაზა კირთაძე	ლოგისტიკის სპეციალისტი
ანდრო გაფრინდაშვილი	პროგრამისტი
გიორგი მახარაშვილი	პროგრამისტი

ქიული შარტავა 1944-1993 წწ.
ეროვნული გმირი, წმინდა გიორგის ოქროს, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის და სხვა ორდენების პატრონი, გენერალ-მაიორი

2014 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაფუძნდა ქიული შარტავას სახელობის სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლა. ქიული ამავე უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტი და ასპირანტი იყო. მოგვიანებით მან აქვე დაიცვა დისერტაცია მართვის ეფექტიანობის საკითხებზე.
ხელისუფლებაში ყოფნისას ის ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობდა მეცნიერებთან. მისი ინიციატივით შეიქმნა ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი, დაფუძნდა ჯერ ახალგაზრდული პრობლემების შემსწავლელი, ხოლო შემდეგ - საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირების და პროგნოზირების სამეცნიერო ცენტრები.
მისი აპტორობით სახელმწიფო მმართველობით საქმიანობაში პირველად დაინერგა სისტემური ანალიზის მეთოდი, ე.წ. „სისანი", რომელმაც მთლიანად შეცვალა ქვეყნის რეგიონალური საქმიანობის შეფასების და მართვის არსებული პრაქტიკა.
ქიული შარტავას სახელთანაა დაკავშირებული შავნაბადაზე „ახალგაზრდული ალაქის", მდ. ვერეს მიმდებარე ტერიტორიაზე „მზიურის", ხოლო მოგვიანებით რუსთავში უნიკალური საბავშვო რკინიგზის მშენებლობა, რომლის გაშენებაც მისი ტობალური დევნის პირობებში გმირობის ტოლფასი იყო.
მისი თაოსნობით აგებული მემორიალური ძეგლები „წითელ ხიდზე" და რუხში ქართველ-აფხაზთა და მთლიანად კავკასიელთა მეგობრობის სიმბოლოდ იქცა.
ქიული შარტავას სახელმწიფო მოღვაწეობა „პარგი მმართველობის" შესანიშნავი მაგალითია, ხოლო გარდაცვალება - სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ვაჟკაცის გმირული ნაბიჯი.
მისი მოწამეობრივი ცხოვრება ღირსეულად შეაფასა მისმა უწმინდესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, როდესაც განაცხადა, რომ მან „ჩვენი ქვეყნისთვის ძალზე მძიმე, ურთულეს დროში, იცხოვრა ისე, თითქოს მთელ ტკივილს ღებულობდა საკუთარ თავზე".

ქიული შარტავას სახელობის
სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლა
ახორციელებს "მაღლესი საკადემიური განათლების მესამე საფეხურის (დოქტორანტურა) პროფესიულ საბაკალავრო-მაგისტრატურულ პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს; აბრეშუმე ეფუძა აქტიურ საქმიანობას ახალგაზრდა პოლიტიკოსების და საჯარო მოხელეების მომზადების, პროფესიონალური გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სტაჟირების ორგანიზაციის მიმართულებით.

#22 2015 ქართული პოლიტიკა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 0175, საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ. 77 ვებ: doctoralschool.ge
ელ-ფოსტა: info@doctoralschool.ge ტელ: 571 169 992, 595 59 23 50